წელიწადი 1-ლი
ტელეფონი № 76.
პარასკევი 28 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . . 8 მან.
თვიურათ . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით
ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი-ორად.
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს ხაზ
გამოცხადებისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ.ს. მიქელაძის ს.

№ 16 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 16

შვილები: პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ, ვასილი, პრავიზორი სიმონი, შტაბს კაპიტანი პეტრე პეტრეს ძენი, ნინა და ნადეჟდა პეტრეს ასულნი; სიძენი, პოდპოლკოვნიკი ვარდენ ლუკას ძე გამყრელიძე და ექიმი იპოლიტე მიხეილის ძე ჩასტია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და მეგობართ, რომ 26 აპრილს დილით გარდაიცვალა პოლკოვნიკის ქვრივი

**მარიამ სამსონის ასული ქორქაშვილისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ორპირის ქუჩ. საკუთარ სახლ.

1—1

## განცხადება.

ვუცხადებ პატივცემულ საზოგადოებას და გუბერნიის და სოხუმის ოლქის რაიონების კომისარებს, რომ ყოფილი ბეითალთა ინსპექტორის დაუდევრობის და გულგრილობის გამო ქალ. ქუთაისში ამ ჟამათ საქონლის ჭირის ასაცერი წამალი (შრატი) **სრულებით** არ მოიპოვება, მაგრამ მიღებულია ზომებით ამ წამლის კარგი ხარისხის და აგრეთვე საჭირო იარაღის **დაუყონებლივ** შესაძენათ და მიღებისთანავე დაეგზავნება ყველა ექიმ-ბეითლებს.

საქონლის ჭირის აცრის გამგე ექ.-ბეით.— **მიხ. ფარცვანიძე.**

## ამხანაგებო ექიმებო!

ორ მაისს საღამოს რვა საათზედ ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში თანახმად ქუთაისის ექიმების სურვილისა დანიშნულია საზოგადო კრება გუბერნიის ყველა ექიმებისა. მოგიწოდებთ ყველას განურჩევლად სქესისა ექიმთა შორის პროფესიონალური კავშირის შესაკრავად, მონდობილობით— **ექიმი ვ. ლორთქიფანიძე.**

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება

სთხოვს თავის წევრებს მობრძანდენ არა ჩვეულებრივ საზოგადო კრებაზე რომელიც დანიშნულია ქუთაისის ქალაქის საბჭოში დილის ათ საათზე 21 მაისს 1917 წელს შემდეგი საკითხების განსახილველათ: 1) ბანკის გამგეობის თავმჯდომარის არჩევა, ნაცვლათ ბატ. რ. დათეშიძისა, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, ვინაიდან ამიერ კავკასიის სააქციონერო ბანკში არჩეულ იქნა გამგეობის წევრათ; 2) არჩევა საბჭოს წევრისა, ნაცვლათ ბატ. ნ. ს. ბარაბაძისა; 3) და თუ ვინიცობაა, ერჩეულ იქნა თავჯდომარეთ რომელიმე ამ ბანკის გამგეობის წევრთაგანი, იმ შემთხვევაში არჩევნები ახალი გამგეობის წევრისაც.

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოების გამგეობა.

თანახმად წესდების მე-10 მუხლისა, აცნობებს ბბ. წევრებს, რომ წევრთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია კვირას, 30 აპრილს 1917 წ. დილის 11 საათზე გამგეობის სადგომში სამსონ ბოკერიას სახლში, თბილისის ქუჩაზე.

კანონიერ კრებისათვის საჭიროა გამოცხადდეს ნაკლებ $1/^{10}$ ყველა წევრებისა. უკეთუ ამ რიგათ წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო ჩვეულებრივი კრება არ შესდგა, გამგეობა, თანახმად წესდების 16 მუხლისა, მოიწვევს მეორე კრებას, რომელიც კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავათ გამოცხადებულ რაოდენობისა. გასარჩევია შემდეგი: კითხვები.

1. 1916 წლ. წლიური ანგარიში.
2. 1917 წლის ხარჯთა აღრიცხვა.
3. გამგეობის წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
4. ზედამხედველი კომიტეტის ერთი წევრის და მისი კანდიდატის არჩევა.
5. სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

პარასკევს, 28 აპრილიდან **საყურადღებო პროგრამა**

**„შორით მნათობნი ვარსკვლავნი"**

დრამა 4 ნაწილად. ვ. მაქსიმოვისა. ლირსკისა, ბლუმენტალ გარინისა, ვოლკოვისა და სხვათა მონაწილეობით.

კარაპუზა იწვევს ავსულებს — კომიკური.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

პარასკევს, 28 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა

**[illegible] ქრონიკა** მიმდინარე ამბებიდან

**„თ[illegible] ანკესზე"**

კომედია [illegible] 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

## დღეს:

**წერილები:**

Dis. ქართული სასამართლო.
**ე. გაბლიანი.** სვანეთს შველა უნდა.
**მ. ბუაჩიძე.** შევაგნებიოთ სოფელსაც.
**ლ. მაჭავარიანი.** ლურჯი თვალები. (ლექსი)
**დ. ო—ძე.** რომანოვთა ტირანის ისტორიიდგან საქართველოში.
ქართული და რუსული პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. უცხოეთი.
მსოფლიო ომი.
ახალი ამბავი.
ჟურნალ-გაზეთებიდან. ვ. გუნიას იუბილეს გამო.
ნარევი.

## სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

ხუთშაბათს, 27 და პარასკევს, 28 აპრილს გაიმართება დიდი საგასტროლო წარმოდგენები 3 დიდი განყოფილებით საცირკო რეპერტუარის საუკეთესო ნომრებიდან. გაგრძელება უკანასკნელი გასტროლისა

**4 ეშმაკად წოდებული მფრინავ ადამიანთა**

**ანონსი:** მოკლე ხანში იქნება ცნობილი ფრანგ აკრობატების გრანდიოზული ბენეფისი. ამზადებენ ბევრ ახალ რამეებს

დასაწყისი წარმოდგენისა საღამოს 8 ნახევარ საათზე.

## მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

**რიცხვის მცნება**

შეიძლება თუ არა განისაზღვროს? (Определимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში" პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს.

რედაქცია

## ქართული სასამართლო

ამჟამად ბევრს ლაპარაკობენ კავკასიის სამოსამართლო დაწესებულებების დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნის შესახებ. სამართლის წესის შესრულება განაპირა ქვეყნებში ბიუროკრატიულ მმართველობას მეტად ბოროტად ჰქონდა დაყენებული. იგი განაპირა ქვეყნებისთვის არ იმეტებდა შიდა გუბერნიებში შემოღებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს და ხალხის მიერ არჩეულ მოსამართლეს, გარდა ამისა ცენტრალი მთავრობა ხალხს უკრძალავდა მისდა გასაგებ ენაზე სამართლის საქმის წარმოებას. კავკასიაში იგზავნება ისეთი პირები, რომელნიც სრულიად არ იცნობდენ ადგილობრივ მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებას და ენას. ქართველი ხალხი დიდით იტანჯებოდა გაუგებარი სასამართლოთი არსებული სამსჯავრო სრულიად არ ემსახურება მის ცხოვრებას. ქართველი გლეხი უბრალო საქმეზე ვერ რიგდება მომრიგებელ მოსამართლესთან იმიტომ, რომ უკანასკნელს ჩვენი ცხოვრებისა ხშირად არა გაეგება რა, რის გამო ღატაკი გლეხი იძულებულია უმნიშვნელო საქმეზე ოლქის სასამართლოში წავიდეს სადაც დიდი ხარჯის გაწევა სჭირდება. სიამოვნებით ვეგებებით განაპირა ქვეყნებში სასამართლოების დემოკრატიულ საფუძველზე გარდაქმნას, მაგრამ ამასთანავე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქართულ ცხოვრებისთვის სასამართლოს დემოკრატიზაცია არა კმარა. ჩვენ ხალხს სჭირია საკუთარ ცხოვრებასთან შეხამებული სასამართლო, სამშობლო ენაზე, ქართულ ცხოვრების ყოველ მხრივ მცოდნე მოსამართლეებით ჩვენ გვწამს, რომ ამ დიდ კითხვაზე ენერგიული მუშაობა დაიწყება, და ქართველი ხალხიც ისარგებლებს ძვირფას თავისუფლების ნაყოფით.

Dis

## სვანეთს შველა უნდა.

თავისუფლების მძლავრმა სხივებმა გადალახეს სვანეთის ბუმბერაზი მთები, გაახარეს და დაატკბეს უძველეს დროიდგან მუდამ თავისუფლების მოტრფიალე სვანები. არსებობს მრავალი საბუთი, რომელთაგანაც სჩანს, რომ სვანები, ყოფილა დრო, როდესაც თავის თავს „ერთობილ ხევს და ერთობილ მოქალაქეებს" უწოდებდენ. მაშინ სვანეთში საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონმდებლობა იყო გამეფებული. ხალხი ერთ დროს თვითონ ირჩევდა მეფეს და საბჭოს რომელიც 300 კაცისაგან შესდგებოდა და ამ ქვეყნის საქმეებს განაგებდა. დიდი სამსახური გაუწია ამ არწივის კუთხემ მთელს საქართველოს მისი ძველი ნაშთების და სიმდიდრეების დაცვაში; რომელთა შექმნამ ძველ ტაძრად ეს ქვეყანა აქცია. თვით ბედმა ადგილობრივ გეოგრაფიულ პირობების წყალობით. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ნაშთები ბოლო დროს ჩაუვარდა ხელში ისეთ პირებს, რომელთა ბინძურმა ხელებმა სამარცხვინო როლი ითამაშეს მათ გაფლანგვაში, რისთვისაც თვით ხალხი მალე გააკრავს მათ სამარცხვინო ბოძზე.

სვანეთი რუსეთს ნებაყოფლობით საქართველოს ყველა სამთავროზე უფრო გვიან შეუერთდა. რუსის კანონებმა სვანეთში დღემდე ფეხი ვერ მოიკიდა და ძალიან შეკვეცილი იყო, ვინაიდგან ხალხი ყოველთვის მათ ზურგს აქცევდა და თვითონ განაგებდა თავის შინაურ საქმეებს. მაგალითად, რუსულ კანონებს, რომ ვერ კმაყოფილდებოდენ სვანები, თვითონ ასამართლებდენ მედიატორული წესით ბრალდებულებს კაცის მკვლელობაში, ქურდობაში, სახლის გატეხვაში, გალახვა-გალანძღვაში, მიწის წართმევაში. ცოლ-ქმრის გაყრაც ადგილობრივის წესით ხდებოდა.

დადგა ახალი დიდებული დრო, რომლის გემოც სვანებს კარგად ესმით და ამიტომ შეიძლება აქ კარგად მოწესრიგდეს საქმეები. მაგრამ სამწუხაროდ ჯერჯერობით, როგორც ვიცი სვანეთში არაფერი კეთდება, ვინაიდგან ნაკლებად მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებმაც იკისრონ და შესძლონ ამ ყრუ ქვეყანაში ხელმძღვანელობა გაუწიონ დღევანდელ მომენტს, ხოლო თუ ვინმე არის ასეთი, ნაკლებად ფიქრობს ამ კუთხის ბედ—იღბალზე.

ამ ჟამად, ვინც სვანეთის ამბავი კარგად იცის, ყველა კარგად გრძნობს, რომ ეს კუთხე განსაცდელში ჩავარდა. ძველი მთავრობის შიში მოისპო, ახალი მთავრობის ძალას მასსაში ჯერ ფეხი ვერ მოუკიდია, რის გამო, შესაძლოა, ხალხი აირივ-დაირიოს და ეს დიდებული ოქროს დრო გამოიყენოს ურთი-ერთ შორის შურის საძიებლად და სისხლის ასაღებად. საჭიროა, დაუყოვნებლივ იქნეს, ვისგანაც ჯერ არს, სათანადო ზომები, რათა იხსნან ეს კუთხე იმ დაღუპვისაგან, რომლის წინაშეც ამ ქვეყნის მცხოვრებნი სდგანან თავის შეუგნებლობის წყალობით. ეხლავე უნდა გაიგზავნონ იქ საქმის მცოდნე და შეგნებული პირები, რათა დროზე უშველონ უპატრონო ქვეყანას.

**ეგნ. გაბლიანი.**

## ქართული პრესა.

გაზეთი „საქართველო" მოწინავეს უძღვნის ქართველ კათოლიკეთაგან გამართულ ყრილობებს საქართველოს ცენტრებში და სამართლიანად სწერს, რომ ეს კითხვა მეტად პოპულარული და მომწიფებულია, ამიტომ იგი:

„თეორიულ მსჯელობის სფეროდან უკვე გამოვიდა და დღეს რეალურ განხორციელების ნიადაგზე სდგას. ამის მაჩვენებელია დღევანდელი ყრილობაც. დღეს ქართველი კათოლიკენი, აქამდის რომ სომხებად იყვნენ მიჩნეულნი, თავის დელეგატების პირით საქვეყნოდ განაცხადებენ, რომ თავისუფალნი არიან ასეთ ტყვეობისაგან და უბრუნდებიან მშობელ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიას"...

„ამ ბედნიერ დღეს კი ჩვენ ვუწვდით მათ ჩვენ ძმურ ხელს, ნიშანს ჩვენი სამუდამო გაერთიანებისას სამშობლოსა და საქართველოს გაერთიანებისათვის."

ასეთი მოვლენა მეტად სასიხარულოა ყოველი ქართველისათვის და რაც უფრო მალე გადადგამენ ასეთ ნაბიჯს სხვა მორწმუნე ქართველები მით უფრო დაჩქარდება ჩვენი ეროვნული ზრდისა და კულტურის აღორძინების საქმე.

## რუსული პრესა.

**(სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობის შესახებ).**

„რუსკ. ვედ". „მოსკოვში იყო პირველი სახალხო ფინანსთა მინისტრი მ. ტერეშჩენკო. ტერეშჩენკომ საზოგადოებას და ვაჭარ მრეწველთ გააცნო, თუ რამდგომარეობაშია ამ ჟამად რუსეთის ფინანსები. ძველი მთავრობისგან ნაანდერძევი საფინანსო მემკვიდრეობა მეტად სამძიმო და დამაფიქრებელი აღმოჩნდა. მეტად დავალიანა რუსეთი. ომამდის ჩვენი სახელმწიფო ვალი უდრიდა 9 მილიარდს. დღეს კი ეს ციფრი ერთი სამად არის გადიდებული. თუ გამოვიანგარიშებთ ომის დღიურ ხარჯებს (ომი დღეში 54 მილიონი მანეთი ჯდება) რუსეთს 1918 წ. 1 იანვრამდე დასჭირდება 54 მილიარდი მანეთი. ამას უნდა დაუმატოთ საპროცენტო და გადასახადი, რომელიც თვეში ორ მილიარდ ნახევარს უდრის ამ რიგად სახელმწიფო ფინანსებიძ მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. მინისტრს სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ მიაჩნია, რომ საზოგადოებამ და ვაჭარ მრეწველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხსენებულ საქმეში".

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბრატიანუმ ჟურნალისტებს უთხრა: „ჩვენ არ მოვილტვით დაპყრობისა და ანექსიისაკენ, გვინდა მხოლოდ შემოვიერთოთ ჩვენი მიწები, რომელიც ავსტრიამ წაგვართვაო. ის შევიწროება ებრაელების რომელიც რუმინეთში მოხდა, მიზნად ისახავდა ემიგრანტთა მიერ ქალაქების ავსების შეჩერებას, ეხლა კი როცა ებრაელთა კითხვა რუსეთში უკვე გადაწყდა იგი თავისთავად სწყდება რუმინეთშიც."

— ეგრედ წოდებული „[illegible] გორა"

კიევში, სადაც სიკვდილით დასჯის აქტი ხდებოდა სალოცავი ადგილი შეიქნა. ბრბო მიწასა სთხრის, ეძებს დასჯილთა ძვლებს, იხდის პანაშვიდებს და საფლავზე ჯვრებს აკეთებს.

— ამ უკანასკნელ დღეებში ბრბომ მოითხოვა, რომ იქ მოეყვანათ დაჭირული გენერალი მოდერი და მისი ადიუტანტი აფნერი. ბრბოს აღელვება იმ ზომამდი მივიდა, რომ ციხეში შესვლა მოინდომა იმის გასაგებად, ხომ არავის შეუფარებია იქ თავიო. ბრბო მოითხოვდა ცოცხლად დაემარხათ მოდერი ბრბოს ასეთი აღელვების გამო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების დადგენილებით მოდერი და აფნერი ღამე ჩუმათ გაუგზავნიათ პეტროგრადში პეტრე პავლეს ციხეში დასამწყვდევათ.

— კომისიამ, რომელიც იმუშავებს კანონს დამფუძნებელ კრებისას, დაადგინა არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექნეს 20 წლიდან. კანონის შედგენა დამთავრდება 1 ივნისს, არჩევნების მოხდენას თვე დასჭირდება. დამფუძნებელ კრების მოწვევას უნდა მოველოდეთ 1 ოქტომბერს. რომანოვთა გვარეულობის იმ წევრთ, რომლებიც თავისუფალნი არიან, არჩევნებში აქტიურისა და პასიური არჩევნების უფლება ენიჭებათ ხოლო რომანოვებს, რომლებიც დაკავებულნი არიან, მხოლოდ პასიური.

— ის ცნობა, თითქოს **ლუგის** თავზე „ცეპელინი" გამოჩნდაო, ჯერჯერობით არ დამტკიცებულა; კითხვა საბოლოოთ დღეს გამოირკვევა.

— მოსკოვიდან ტელეფონით პეტროგრადში იტყობინებიან, თითქოს ლენინი ივანოვო ვოზნესენსკში იმყოფება და ძლიერ აგიტაციას ეწევა.

— ინტერნაციონალურ სოციალისტურ ბიუროს მდივანმა გიუსმანსმა ჟურნალისტებს განუცხადა:

„ომი უნდა გათავდეს უანექსიოთ. მტკიცე ზავის ჩამოგდება დამოკიდებულია რუსებზე, უმთავრესათ კი გერმანელებზე. კერენსკიმ განაცხადა, რომ რუსეთი უარს ამბობს კონსტანტინოპოლზე. გერმანეთმა გაგვაგებინა, რომ იგი უარყოფს ანექსიას აღმოსავლეთში, ხოლო არ უარყოფს ამ გეგმას დასავლეთისთვის. ზავის ჩამოგდება დღეს დამოკიდებულია იმაზე, შესძლებს თუ არა გერმანეთის სოციალისტური პარტიები თავის მთავრობას უარი ათქმევინოს დასავლეთის ანექსიაზე.

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

**ჯარისკაცთა დეპუტატების კრება.**

**ბლაგოვეშჩენსკი**, 23 აპრილი. ჯარისკაცთა დეპუტატების კრებამ დაადგინა, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად და არა დაპყრობითი მისწრაფების საწარმოებლად, მიიყვანოს ომი გამარჯვებამდე და მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას, სანამ ის რევოლუციის ლოზუნგების ერთგულია.

**მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ყრილობა**

**კიევი**, 24 აპრილი. გაიხსნა სამხრეთ-დასავლეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყრილობა. დამსწრეთა რიცხვი 400-ს აღემატება. თავმჯდომარედ არჩეულია ნეზლობიჩი. დაადგინეს მუშათა და ჯარისკაცთა სექციებისა და გლეხთა და სასურსათო ორგანიზაციების მოწყობა.

**ნიხრის პროექტი**

**პეტროგრადი**, 24 აპრილი. სრულიად რუსეთის სასურსათო კომიტეტმა თანახმად დროებითი მთავრობის დადგენილებისა შეიმუშავა ნიხრის პროექტი. პროექტის მიხედვით პურსა, შაქარსა, მარილსა და კრუპაზე ყველგან სავალდებულოდ უნდა იქნეს შემოღებული განსაზღვრული ფასი, ვინც საქონელს ნიხრს ზევით გაჰყიდის ან დამალავს პასუხის გებაში იქნება მიცემული სასჯელთა წესდების 29 მუხლის თანახმად.

**გლეხების საჩუქარი ჯარს.**

**შჩენდრინსკი**, 24 აპრილი. იალტროვის გლეხებმა ჯარს პოზიციებზე საჩუქრად გაუგზავნეს 25,000 ფუთი ფქვილი.

**რვა საათის სამუშაო დღე.**

**სევასტოპოლი**, 24 აპრილი. ფლოტისა, გარნიზონისა და მუშათა ცენტრალმა კომიტეტმა დაადგინა რვა საათის სამუშაო დღის შემოღება; ხოლო სანამ სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესები მოითხოვენ, იმუშაონ რამდენიც საჭირო იქნება.

**სეიმის დადგენილება.**

**ჰელსინგფორსი**, 24 აპრილი. სეიმის ეკონომიურმა კომისიამ ორმაგი განხილვის შემდეგ მიიღო კანონპროექტი იქ მობინადრე რუსეთის მოქალაქეთა უფლებების შესახებ.

**მანეთის კურსი.**

**ჰელსინგფორსი**, 25 აპრილი. ფინეთის ბანკში მანეთის კურსმა 200-დან 100 მარკამდე დაიწია.

**გლეხთა ყრილობა.**

**მინსკი**, 25 აპრილი. გლეხთა ყრილობამ გადასწყვიტა გადმოხვეწილთ არჩევნებში სრული უფლება მიანიჭოს. ყველა ადგილობრივ კომიტეტმა დეზერტირობა შეუწყნარებლად ალიარა და გადასწყვიტა შეებრძოლოს მას გააძევოს სოფლებიდგან გამოქცეულები და გადასცეს ისინი სამხედრო უფროსს. ყრილობამ ალიარა იმ კუთხის ერთა ეროვნულ-კულტურული თვით გამორკვევის უფლება, შეუწყნარებლად სცნო ბელორუსეთის ავტონომია, რომლის მთლიანობისთვისაც საჭიროდ და მიუცილებლად ალიარა რუსეთისაგან გამოუყოფლობა და მოითხოვა მისთვის დემოკრატიულ საფუძველზე აგებული ფართო საოლქო თვითმმართველობა.

**ხულიგნებთან ბრძოლა, მიწების დამუშავება**

**სამარა**. 25 აპრილი. ქალაქში გახშირდა ხულიგნებისა და ქურდების მკაცრი თვითგასამართლება. ბრბომ შეიპყრა გუშინ ორი ცნობილი ხულიგანი და ქუჩაზე მათთვის სახრჩობელა ააგო. მათ ჩამოხრჩობას უპირებდენ, მაგრამ მილიციის ზეგავლენით გადაწყვეტილება სისრულეში არ მოიყვანეს.

გლეხებში თავს იჩენს მისწრაფება, რაც შეიძლება მეტი მიწები დაიმუშაონ საკუთარის ძალღონით. ბევრმა გლეხმა, რომელსაც ათი წლობით არაფერი უკეთებია, დიდძალი მიწები დაამუშავა.

**სამღვდელოების ყრილობა**

**კიშინიოვი**, 25 აპრილი. საგუბერნიო კომიტეტს ატყობინებენ. რომ ორგეევის მაზრის ისაკოვისა და კობილინის საზოგადოებებში გლეხები არ ამუშავებენ მემამულეთა მიწებს გარდა სამი, გლეხთაგან მითვისებულ, მამულისა. სამღვდელოების საოლქო ყრილობამ პროსკუროვში სასურველად სცნო ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორება, რათა შესაძლო გახდეს ცხოვრებაში წმინდა ქრისტიანულ მოძღვრების გატარება.

**კერენსკის განცხადება.**

**პეტროგრადი**, 25 აპრილი, ოფიციალი. იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ სოციალ-რევოლუციონერთა პარტიის პეტროგრადის კომიტეტს; მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს, შრომის ჯგუფის ფრაქციას და სახელმწ. სათათ. აღმასრულებელ კომიტეტს შემდეგის განცხადებით მიმართა: ამხანაგებო! მომენტი, როდესაც რევოლუციის დიდმნიშვნელოვან ამბ. მშრომელი დემოკრატია შეუკავშირებელი შეხვდა, როდესმც ცენზიანმა რუსეთმა მთავრობის ორგანიზაცია იდვა თავს, მე იძულებული ვიყავი საკუთარის პასუხისმგებლობით დროებითი მთავრობის შემადგენლობაში შევსულიყავი დემოკრატიის ინტერესების დასაცავად და იმ ორ ძირითად ძალათა შორის, რომელთაც ბედისგან ძველ წყობილებაზე გამარჯვება ერგო წილად, შემესრულებინა მძიმე და პასუხსაგები როლი შუამავალისა. მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და ენერგიის იმ ნდობაში ვპოვებდი, რომელიც ჩემი გადაწყვეტილების შემდეგ მშრომელმა დემოკრატიამ და ჯარმა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პირით აღმითქვა. მე ამ საქმეს, ცალკე პირისათვის შეიძლება მეტად პასუხსაგებსა და საძნელოს, ვასრულებდი რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს ჩემს ძალას შესწევდა, და ჩემს რევოლუციურ და სოციალისტურ სინიდისის ხმას მივყვებოდი.

ამ ჟამად ჩემი აზრით გარემოება ძირიანად შეიცვალა. ერთის მხრით საქმეთა საერთო მდგომარეობა სახელმწიფოში თანდათან რთულდება, მაგრამ მეორე მხრით გაიზადა ძალები შეკავშირებულ მშრომელ დემოკრატიისა, რომელიც ამიერიდგან, შეიძლება, არ უნდა ერიდოს სახელმწიფოს პასუხსაგებ მმართველობას სათავეში ჩაუდგეს. მისი მონაწილეობა, რევოლუციაში აღმოცენებულ, მთავრობას ახალ ძალებსა და საჭირო ავტორიტეტს შესძენს მის გარშემო სახელმწიფოს ყველა ცოცხალ ძალთა შესაკრებად და ყველა დაბრკოლების დასაძლევად, რომელნიც აფერხებენ რუსეთის გამოსვლას ისტორიულ განვითარების ფართო გზაზე. ამ პირობებში ჩემი აზრით მშრომელი დემოკრატიის წარმომადგენლებმა მმართველობის სიმძიმე უნდა იტვირთონ მხოლოდ იმ ორგანიზაციათა არჩევნებისა და ფორმალ რწმუნებულების ძალით, რომელთაც ისინი ეკუთვნიან. ეხლა კი თქვენი გადაწყვეტილების მოლოდინში მე ბოლომდე ვზიდავ დაკისრებულ მოვალეობათა სისრულეში მოყვანის სიმძიმეს.

ა. კერენსკი.

**სათათბიროს წლის თავი**

**პეტროგრადი**. 24 აპრილი. სათათბიროს თავმჯდომარე სთხოვს ოთხივე მოწვევის სათათბიროს წევრებს მობრძანდენ სადღესასწაულო კრებაზე პირველ სათათბიროს გახსნის წლის თავის გამო 27 აპრილს დილის ორ საათზე თავრიდის სასახლის საერთო კრებების დარბაზში.

**გიორგის კავალერთა კავშირი.**

**ოდესა**. 25 აპრილი. შესდგა გიორგის კავალერთა კავშირი. კავშირის მიზანია დროებითი მთავრობის დაცვა გერმანელებთან ბრძოლა და თავისუფლების შენახვა.

**მძარცველი ინგუშები.**

**კიშინევი**. 26 აპრილი. ბენდერის მაზრიდან იტყობინებიან: ჯარის ნაწილებს ჩამოშორებული ინგუშები ხალხს არბევენ და სცარცვავენ. ისინი ტყეებში არიან შეფარებული. ბენდერის სამაზრო კომისარის თხოვნით ამ ინგუშების დასაჭერად კიშინევიდან ესკადრონი გაგზავნეს.

**პეტროგრადი** 26 აპრილი. რადგანაც საგუბერნიო და სამაზრო საქალაქო სასწავლებლების საბჭოები სრულიად გამოუდეგარნი არიან იმ საქმეებისათვის, რომელიც სახალხო განათლების საჭიროებას და მიზნებს შეეხება, განათლების მინისტრმა საჭიროდ იცნო ამ საბჭოების გაუქმება. ხოლო ერობათა და ქალაქების წარმომადგენელთ სასკოლო მართველობის საერთო კანონის გამოცემამდე წინადადება ეძლევა მოაწყონ დროებითი მართველობა დასაწყის განათლების საქმის განსაგებად. შესაფერი განმარტება წარდგენილია დროებითი მთავრობის დასტურის მისაღებად.

**მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს რეზოლუცია**

**პეტროგრადი**, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ რეზოლუცია გამოიტანა. რომლითაც თავისუფალ რუსეთის ყოველ მოქალაქეს უნდა დაევალოს თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა, რადგან სესხის კარგად მოწყობა რევოლუციის საქმესაც უკეთ წარმართავს. ეს რეზოლუცია საბჭოს ცნობების თანახმად მიღებულ იქმნა ორი ათასი ხმის უმეტესობით 112-ის წინააღმდეგ.

**სამსახურიდან დათხოვა.**

განათლების მინისტრმა [illegible] დაითხოვა [illegible] (ოდესის) უნივერსიტეტის პრორექტორი ვილინსკი. ვილინსკი პროფესორად დარჩება.

**შეღავათი მოსწავლეებს.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა დროებითი მთავრობის დასტურის მისაღებათ წარადგინა კანონპროექტი. კანონპროექტით განზრახულია სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვევის ვადა გაუდიონ 1917 წ. ოკტომბრამდე იმ ახალგაზდებს, რომელნიც 1899 წლის უადრეს დაიბადენ და ახალი კურს დამთავრებულნი არიან.

**აღმასრულებელი კომიტეტის ცნობები.**

მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი იტყობინება: 20 აპრილს საგარეო მინისტრის მიერ ნოტის გამოქვეყნების შემდეგ აღმასრულებელ კომიტეტს ცნობები მოდიოდა, რომ ჯარისკაცთა ნაწილები ქუჩებში გამოყავს გენერალ კორნილოვს და ზოგ ნაწილსაც სასახლის მოედნის დაკავება ებრძანაო. აღმასრულებელმა კომიტეტმა ფიცხელი ზომები მიიღო მისი სახელით ბოროტმოქმედობის წინააღმდეგ: მან არა სასურველად იცნო ქუჩებში შეიარაღებულ ჯარის ნაწილებისა და მუშათა მილიციის გამოსვლა. მანვე წინადადება მისცა მუშებს იარალი არ ეტარებიათ კრებებსა და დემონსტრაციებში, ხოლო ჯარი გააფრთხილა არავის გულისათვის არ გამოსულიყო, ვიდრე წერილობითი ბრძანება არ ექნებოდა. ამავ დროს აღმასრულებელმა კომიტეტმა ზომები მიიღო ყალბი წერილობითი ცნობების შედგენის წინააღმდეგ. აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება საჩქაროდ შეატყობიეს კორნილოვს.

კორნილოვმა ეს ზომები მიზან შეწონილად იცნო და თვისი ბრძანება უკანასკნელ დღეს ამბების დაწყებამდე შეცვალა. აღმასრულებელმა კომიტეტმა კორნილოვთან შეთანხმებით პეტროგრადის ოლქის მართველის შტაბში გაგზავნა თვისი მუდმივი კომისარები, კომისართა მიზანი იყო აღმასრულებელი კომიტეტისა და გენერალ კორნილოვის მუშაობის ვორის შეთანხმების მოხდენა ჯარის ნაწილთა პოლიტიკურსა და სამეურნო საქმეებში.

**უფროსის მოკვლა.**

**რიგა**. 2 აპრილი. ვიღაც უცნობებმა მოჰკლეს ციმბირის მსროლელი დივიზიის უფროსი გენერალი კარცევი. ჯარისკაცები ამბობენ — მკვლელობაში მონაწილეობა არ მიგვიღიაო. გამოძიება სწარმოებს.

**ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ყრილობა.**

**მოსკოვი**. 26 აპრილი. სრულიად რუსეთის საფოსტო კავშირის დროებითი

# რომანოვთა ტირანიის ისტორიდან საქართველოში.

**(იმერეთი 1819—20 წლებში.)**

1783 წლ. ხელშეკრულობის დარღვევისათანავე რუსეთის თვითმპყრობელობის წარმომადგენელნი საქართველოში დაუყოვნებლად შეუდგენ ყოველივე იმის განადგურებას, რაც ჩვენს ხალხს თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას მოაგონებდა, სადაც მას თავისუფლად ამოსუნთქვა კიდევ შეეძლო. 1810 წლამდი ასეთი ასპარეზი იყო საქართველოს ეკლესიის თვითმართველობა და ახლად მოვლენილმა მთავარმართებლებმა ახლა ამაზე მიიტანეს იერიში.

1810 წ. მთავარმართებელი ტორმასოვი სინოდის ობ.—პროკურორს გოლიცინს სწერდა: „საქართველოს პატრიარქ—კათალიკოსი ანტონი იშვიათი და ყველასაგან პატივცემული პირია, მაგრამ რადგანაც ის ავათმყოფი კაცია, უმჯობესი იქნება საქართველოში სინოდის ეგზარხოსი დაინიშნოს; კათალიკოსი კი რუსეთს მიბრძანდეს და იქ მას საქართველოს შემოსავლიდან პენსია მიეცესო".

ტორმასოვის მოხსენება, რასაკვირველია, შეიწყნარეს და 1811 წ. გულდაწყვეტილი და ჩვენი ქვეყნის უკუღმართი ბედის უმადური პატრიარქი თავის მწარე ხვედრს დაემორჩილა. ანტონი ამ დროს 47 წლისა იყო და ამ „ავათმყოფმა" კაცმა ცივ რუსეთში კიდევ 19 წელიწადს იცოცხლა.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა, წინააღმდეგ მსოფლიო კრებების დადგენილებისა, გააუქმეს და ჩვენი ეკლესიის მმართველად სინოდის ეგზარხოსი დანიშნეს. პირველი ეგზარხოსი იყო ვარლამ ერისთავი.

ამ ახალი მმართველობის შედარებით მშვიდობიანათ ჩაიარა. დასავლეთ საქართველოში დამყარებამ აღმოსავლეთ საქართველოში კი ამ საქმემ სულ სხვა სახე მიიღო და ხალხის აჯანყებაც გამოიწვია.

1819 წლამდი იმერეთის საეკლესიო საქმეებს გამანადგურებელი ხელი არ შეხებია და დამოუკიდებლად სწარმოებდა. მაგრამ 1815 წელს თფილისში დაარსებულმა სინოდალურმა კანტორამ, რომელმაც მიზნათ დაისახა საქართველოს ეკლესიის სრული დაპყრობა, შემდეგ წლებში იმერეთსაც წამოუპოტინა ხელი: ბრძანებებს ჰგზავნიდა და განკარგულებებსაც იძლეოდა. ეგაა, რომ იმერეთის სამღვდელოება, მიტროპოლიტების შეთაურობით, კანტორის განკარგულებებს უყურადღებოთ სტოვებდა და კვლავ დამოუკიდებლათ მოქმედობდა.—სინოდი განრისხდა, ეგზარხოსი ვარლამი გადააყენა და მის მაგიერათ დაინიშნა თეოფილაქტე რუსანოვი, კაცი მედგარი და უფრო სამხედრო წოდებისათვის გამოსადეგი.

ეს ბერის ტანისამოსში გამოწყობილი ჯარისკაცი დაუყოვნებლად იმერეთს მოევლინა, გურია-სამეგრელოში კი კანტორის მოხელეები დაგზავნა და საეკლესიო მამულების აწერა დაავალა.

მაშინდელი მთავარმართებელი, ერმოლოვი, თეოფილაქტეს მოქმედებას თუმცა თანაუგრძნობდა, მაგრამ იმერეთის აჯანყებისა ეშინოდა და მის მოქმედებასაც ცოტა ნაადრევათ ცნობდა.

თეოფილაქტემ თავისი არ დაიშალა და იმერეთის ეკლესიის განადგურებას ბეჯითად განაგრძობდა. კანტორის მოხელეებმაც ზედმეტი მუყაითობა გამოიჩინეს და საეკლესიოსთან ერთად ბევრი კერძო მამულიც ასწერეს. იმერეთსა და გურია-ოდიშში ამან ხალხის დრტვინვა გამოიწვია.—„ოსმალებს არ გაუნადგურებიათ ჩვენი სალოცავები და ამას რას მოვესწარითო"—იძახოდა ხალხი და აჯანყებამაც იფეთქა.

მაშინ იმერეთს განაგებდა გენ. კურნატოვსკი. მან ეს ამბავიც ერმოლოვს აცნობა და ჯარი ითხოვა. ამ დროს დაღესტნის მთებში, ზარბაზანი ქუხდა და მთავარმართებლის ყურადღებაც იქითკენ იყო მიქცეული. შტაბის უფროსმა გენ.ველიამინოვმა კი თეოფილაქტეს სთხოვა, მოქმედება შეაჩერეთ და თფილისშივე დაბრუნდითო. თეოფილაქტე კი ქუთაისიდან ფეხს არ იცვლიდა, სანამ აქიდან იძულებით არ განდევნეს.

შეურაცხყოფილმა ეგზარხოსმა ერმოლოვის თანხმობით გადასწყვიტა—იმერეთიდან გაედევნა იმერეთის ცნობილი მიტროპოლიტები—გენათელი ევთიმე და ქუთათელი დოსითეოზი და მათი თანამგრძნობელნიც. საქმის ასასრულებლათ ქუთაისს ჯარი გაიგზავნა.

აქაც მზადება იყო. ყველა რალაც საშინელების მოახლოებასა გრძნობდა.

ზემოხსენებული მიტროპოლიტები ხალხს ლოცავდენ და ქვეყნის გასათავისუფლებლად მოუწოდებდენ. იმერეთის სოფლებსა და დაბებში ბუკ-საყვირის ხმა გაისმა და ეკლესიებში იარაღის კურთხევა გაჩაღდა. ხალხმა სრული განთავისუფლებაც კი მოითხოვა და ეს სურვილი აცნობეს ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც იმ დროს ახალციხეში იმყოფებოდა.

იმერეთი რომ ამ მზადებაში იყო, მოხუცებული გენ. კურნატოვსკი დაითხოვეს და მის მაგიერათ ახალგაზდა პოლკოვნიკი პუზირევსკი დანიშნეს. მასვე მიანდვეს მთელი განზრახული საქმის შესრულებაც.

შტაბის უფროსი ველიამინოვი სწერდა მას: „მიტროპოლიტების დახოცვას გაუფრთხილდით, ვინაიდან ეს ხალხს უფრო ააშფოთებს. თუ ვინიცობაა ეს ზომა საჭირო გახდეს, მაშინ დახოცილთა გვამები იმერეთში არ დასტოვოთ, არც სადმე მდინარეში გადაყაროთ, რომ არ გამოირიყოს, მოზდოკამდი მიიტანეთ და იქ დამარხეთო."

4 მარტს 1820 წ. ფრიად ქინქლიანი და ცუდი ამინდი იდგა. ცა პირქუშად დაჰყურებდა ქუთაისს და ხანგამოშვებით წვიმასა სცრიდა. სალამო იყო. მიტროპოლიტი ქუთათელი ციხის ნანგრევებზე შემდგარიყო და სასოებით აღსავსე თვალები გელათისთვის მიაპყრო. შემდეგ დასავლეთისკენ მობრუნდა და კარგა ხანს მდუმარეთ შავი ზღვისკენ გაიყურებოდა. დალამდა საშინლად ბნელოდა.

უკვე შუაღამემაც მოატანა.

მიტროპოლიტი რაღაც წინათგრძნობას შეეპყრო და ძილი არ ეკარებოდა. ფიქრებით გატაცებულმა მესენაკეს—ყიფიანს—საცეცხლური გააჩაღებია და ლოცვათ დალგა. მცირე ხანი გავიდა და ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა. მესენაკემ მიტროპოლიტს მოახსენა.—გაუღეთო, ბრძანა და ისევ ლოცვა განაგრძო.

პუზირევსკი და მასთან ერთად რამდენიმე ჯარისკაცი ხიშტებით ხელში მიტროპოლიტის ოთახში შეიჭრენ. პოლკოვნიკმა ქუთათელს მოსთხოვა, ლოცვა შესწყვიტე და საჩქაროთ უკან გამომყევიო.

—განვედი ჩემგან, სატანა!—მრისხანეთ გადახედა მას მოხუცმა და კმევა დაიწყო.

ჯარისკაცებმა ქუთათელს ხელი სტაცეს. მოხუცი მიტროპოლიტი სარკმლის ხლართულებს მოეჭიდა და არ ნებდებოდა. მესენაკეც მიეშველა. მას თავში კონდახი დაარტყეს და, გაბრუებული, სენაკის კარებიდა თავდაღმართში დააგორეს. მიტროპოლიტი კარგა ხანს გაუძალდა; შემდეგ ღონე-გამოლეული იატაკზე გაიშოტა. იგი შეკრეს და კონდახების ცემით გარეთ გამოათრიეს.

იმავე ღამეს შეიპყრეს გელათის მიტროპოლიტი ევთიმე, რომელმაც ჯარისკაცებს მაცხოვრის სიტყვებით მიმართა: „ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხვედით

## ლურჯი თვალები.

ლამაზი იყო სიტყვა ჩემი ვარდიანობით,
მაგ ლურჯ თვალებში ზღვაოსნობის მადლიანობით...
უკანასკნელი სიტყვები ვსთქვი და დავასრულე,
თვალწინ დამიდექ დილით ბაღში მოსიარულე...
შემდეგ ჩემს ფიქრში ნაისნობენ ლურჯი თვალები,
და ალმასობენ ბროლად ქცევით ნაელვარები...
—ვიცვლები ისე ყოველს წუთში მაისის თვეში,
ვით რომ ფიქრები ლამაზ ქალის სიყმაწვილეში...
და ხავერდობდა მაკ თვალებში ღამის სიცხადე!..
მსურდა რომ მეთქვა, მაგრამ წახველ არ დამიცადე!..
ლურჯი თვალები გიელავდა და წამწამთ წყება,
ნაზობდა ისე, ვით ზაფხულის ზღაპართ დაწყება...
ლურჯი თვალები... თვალები და თვლალ[illegible] ისრები,
: მაალმასებენ სიყვარულის სახედ ვიცვლები...

**ლადო მაჭავარია ნი.**

---

## მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ [illegible] თავი დაიხსნათ უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი [illegible] ნულარგაქვთ.

---

ბიურო წინადადებას იძლევა აარჩიონ და გამოაგზავნონ დელეგატები მოსკოვში სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსამსახურეთა ყრილობაზე დასასწრებლად ყრილობა მოხდება მაისს. 500 მოსამსახურეზე ერთი დელეგატი უნდა აირჩეს. ბრძოლის ველზე ფოსტის მოსამსახურეთ ორი დელეგატის გაგზავნის ნება აქვთ.

**ყაზახთა ყრილობაზე.**

**ნოვოჩერკასკი.** 24 აპრილი. ყაზახთა ყრილობაზე ცნობები მიიღეს დიდ ძალი პურის შემოწირულების შესახებ. ზოგიერთი სტანიცა აცხადებს თურმე, ჯარს მთელს ჩვენს ქონებას შევწირავთო.

## უცხოეთი.

(პ. დ. ს.)

**მიტინგი.**

**სალონიკი,** 23 აპრილი. მოხდა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც 40000 ბერძენი დაესწრო. რეზოლიუციებს შეხვდენ ძალით: გაუმარჯოს ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს, ვენიზელოსსა და რესპუბლიკას! ძირს გერმანეთისაგან მოსყიდული მოღალატეებიო!

**რუზველტის არმია.**

**ნიუ-იორკი,** 24 აპრილი. რუზველტის არმიაში 180000-ზე მეტი კაცი ჩაეწერა ნება დართულია საფრანგეთში გასაგზავნად რაზმის შედგენა.

**ჯავშანი წყალქვეშათა.**

**ვაშინგტონი,** 24 აპრილი. წყალქვეშა ნავებისაგან სავაჭრო გემების დასაცავად გუდზონ-მატინსმა ჯავშანი გამოიგონა.

**მოკავშირეთა საპარლამენტო კონფერენცია**

**პარიზი.** 24 აპრილი, მოკავშირეთა საპარლამენტო კონფერენციამ რეზოლიუცია გამოიტანა მოკავშირეთა შორის სრული ერთსულოვნებისა, შეერთების საშუალებათ დიპლომატიურ და სამხედრო მოქმედებათა გაძლიერებისა და სანოვაგით უზრუნველ ყოფის შესახებ. ზავმა უნდა უზრუნველ ჰყოს სამართლიანი ეროვნული მოთხოვნილებანი, თავისუფლებისა და სიმართლის ძლევა-მოსილება.

**ზაიმისის ბრძანება.**

**ათინა,** 24 აპრილი. ზაიმისმა ბრძანება გასცა, რომ წესიერების დასამყარებლად შესაფერ ზომებს მიმართონ და ხალხს იარაღი აჰყარონ.

**სანოვაგე ამერიკაში.**

**ნიუ-იორკი,** 24 აპრილი, ამერიკის სავაჭრო პალატის სტატისტიკურ კომისიას ატყობინებენ, რომ ამერიკას მთელი ქვეყნის გამოკვება შეუძლია. საქმე ტრანსპორტის ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. მომარაგებული სანოვაგე საკმარისია.

**ამერიკის შრომის ფედერაციის დეპეშა.**

**ნიუ-იორკი.** 24 აპრილი. ამერიკას შრომის ფედერაცია გრძელ დეპეშას უგზავნის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. დეპეშაში შრომის ფედერაცია ურჩევს საბჭოს მხარი აუჭიროს დროებით მთავრობას და აცხადებს, რომ გერმანელ პროპაგანდისტთა მიერ ამერიკის გამოსვლის ცრუდ ახსნას ბოროტი განზრახვა უდევს საფუძვლად, ამერიკის ხალხი, მშრომელი ხალხი თავისუფლებას მუდამ მხარს დაუჭერსო.

**ეროვნული თავდაცვის საბჭო.**

**ვაშინგტონი.** 23 აპრილი. მოხდა ეროვნულ თავდაცვის საბჭოს პირველი თათბირი ბრიტანეთისა და ამერიკის სამხედრო ექსპერტების მონაწილეობით. წვრილმანების განსახილველად რამდენიმე კომისია დანიშნეს. ამერიკისა და მოკავშირეთა შეთანხმებულ მოქმედების შესახებ ბალფურმა განაცხადა: ინგლისელები მალე გაიხარებენ ამერიკელთა ჯარის საფრანგეთში შესვლითო.

**იტალიელთა მისია.**

**რომი.** 24 აპრილი ამ დღეებში ამერიკას გაემგზავრა სპეციალი იტალიური მისია საკითხთა მთელი რიგის განსახილველად. ეს საკითხები დამოკიდებულია იტალიისა და შტატების ტრანსპორტის პირობებთან. მისია გააცნობს აგრეთვე ამერიკის მთავრობას იტალიის ომში ჩარევის მიზეზებსაც.

## ახალი ამბავი

✦ მაისის 1, წმ. თამარის დღეს, „განათლების“ საზოგადოება კავკასიის კომისარიატის ნებართვით შეჰკრებს ყულაბებით ფულს საქალებო სემინარიის სასარგებლოდ საქართველოში ყველგან. დახმარების აღმოჩენის მსურველნი უნდა მიბრძანდნენ ა[illegible] ტილერიის ქუჩებზე № 5., „ჯეჯილი“-ს რედაქციაში.

✦ **ექიმთა ყრილობა**. 2 მაისს მოხდება ქუთაისის გუბერნიის ექიმთა შეერთებული თათბირი. თათბირის მიზანია ქუთაისის გუბერნიის ექიმთა კავშირის დაარსება.

✦ **სახლის პატრონების საყურადღებოდ** ქუთაისის სანიტარულმა კომისიამ განკარგულება გამოსცა მცხოვრებთა საყურადღებოთ რომ მათ ყოველდღე ჰგავონ ეზოები და ნაგავი განსაკუთრებულ ყუთში შეინახონ.

✦ **ვირთაგვები**. ქუთაისში მეტად მომრავლდა ვირთაგვები. ღამღამობით ისინი ქუჩებში გამოდიან. საჭიროა მათ მოსასპობად საშუალების გამონახვა.

✦ **კაკი წერეთელს მინისტრათ ასახელებენ.** განზრახულ კოალიცურ სამინისტროში მინისტრად სხვათაშორის ასახელებენ მეორე სახ. სათათბიროს წევრს კაკი (ირაკლი) წერეთელს.

✦ **უსუფთაოებას** აღმასრულებელმა კომიტეტმა თავის სანიტარებს დაავალა დიდი ყურადღება მიაქციონ ქალაქში სისუფთავის დაცვას. სასადილოები და ქუჩები ყოველ დღე უნდა დაათვალიერონ სანიტარებმა.

✦ **თავდასხმა** 23 აპრილს გუდაუთის გზაზე შეიარაღებული ბოროტ-განზრახველები დაეცნენ ფოსტას და გაძარცვეს. გაიტაცეს 1000 მან. ფულად.

✦ **საქონლის ჭირი**. საჯავახოდან იტყობინებიან, რომ იქ შინაურ საქონელს ჭირი გაუჩნდა. ჭირს გაუწყვეტია სამუშაო ხარები.

✦ **ქალთა კრება**. 26 აპრილს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში მოხდა სოციალ-დემოკრატ ქალთა კრება. კრებაზე მსჯელობა იქონიეს მომავალ მოქმედების შესახებ.- ილაპარაკეს დგებუაძესა და ნიორაძის ქალებმა და სტ. მჟავანაძემ.

---

✦ **სამწუხარო შეცდომა**, ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში №15 დაბეჭდილია გაზ. "ხალხის თავისუფლებიდან" ამოღებული ივ. გომართლის წერილი: „პასუხი ორ ამხანაგს“ სამწუხაროდ ის გარემოება, რომ ეს წერილი „ხალხის თავისუფლებიდან“ არის ამოღებული, არ იყო გუშინდელ მე № 15 აღნიშნული.

---

## თბილისი.

— ფოსტის გაძარცვა. აპრილის 25 ს, საღამოს 10 ნახევარ საათზე, შეიარაღებული ავაზაკები დაეცნენ ფოსტის კანტორის განყოფილებას თბილისში, ელისაბედის ქუჩაზე. რამდენიმე კაცი გარეთ გაჩერდა და ფოსტის შესასვლელი კარები შეჰკრა; შიგ ფოსტაში 3 კაცი შევიდა, რომელთაც თოფები დაუმიზნეს კასირს და ფული მოსთხოვეს. შემთხვევით იმ დროს იქ იყვნენ 1 ჯარის კაცი და სახლის მეეზოვე, რომელთაც წინააღმდეგობის გაწევა დააპირეს და ამისათვის ავაზაკებმა დასჭრეს ისინი, შემდეგ 40,000 მანეთამდე გაიტაცეს და გარედ გაცვივდნენ. კარებთან რამდენიმე თოფი დასცალეს და მიიმალნენ. ჯერ არავინ დაუჭერიათ.

— ვალ. გუნიას იუბილე. მრავალ საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირებისაგან ცნობები მოსდის საიუბილეო კომიტეტს, რომ დღესასწაულში მონაწილეობას მივიღებთო. მაგალითად, მიულოცვენ და მიართმევენ საჩუქრებს, მიართმევენ შემდეგი წარმომადგენელნი: ქალაქის თვითმართველობისა, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობისა, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა, მომხმარებელ საზოგადოების „მეურნე“-სი და სხ. კერძო პირთაგან მილოცვის სურვილი განაცხადეს: ტიგრან ნაზარიანმა სამწერლო-სამხატვრო სალონის ჟურნ. „ალბიური“-სა და „თარაზი“-ს სახელით, სომეხთა მსახიობმა ტერ-გრიგორიანმა და პოეტმა ქალმა ციტენიმ. ერთმა პირმა, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის გამომჟღავნება, 100 მანეთი წარადგინა დრამატიულ საზოგადოების კანტორაში იუბილიარისათვის მისართმევად. იუბილეზე დასასწრებ თეატრის ბილეთებს ხალხი იტაცებს, ასე რომ ბილეთები მალე აღარ იქნება,

— თბილისის მაღაზნებმა 3 ადგილი ითხოვეს თავიანთ წარმომადგენლებისთვის ქალაქის აღსასრულებელ კომიტეტში, კომიტეტმა უარი უთხრა.

— კავკასიის მასწავლებელთა კავშირის მაისის 16-ს კავკასიის სასწავლებელთა კავშირის დელეგატთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს კავშირის წესდების პროექტი და გადასწყვიტოს საკითხი სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ.

— მსახიობთა კავშირი, ქართველ მსახიობთა კავშირის წესდების პროექტი უკვე მზად არის. დამფუძნებელი კრება დანიშნულია კვირას, აპრილის 30.

— პავლე ინგოროყვას მოხსენება. აპრილის 25 ს თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში პავლე ინგოროყვამ საგულისხმო მოხსენება წაიკითხა შემდეგ თემაზე: „რა საზღვრებში უნდა განხორციელდეს პოლიტიკურ ტერიტორიალური ავტონომია საქართველოსი, მთიულ მაჰმადიანებისა, ადერბეიჯანისა და სომხეთისა“

— მომრიგებელი კამერა. თბილისის გარნიზონის ჯარის კაცთადეპუტატების საბჭო ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ, რაც შეიძლება, ადრე მოეწყოს ცენტრალური მომრიგებელი კამერა. სანამ ასეთი კამერა მოეწყობოდეს, საბჭო სთხოვს ამხანაგ მუშებს, თავი შეიკავონ და საქმის პატრონებთან დამოკიდებულებას ნუ გააწვავებენ.

### კავკასიის ფრონტის წარმომადგენელ. ყრილობა.

28 მარტს დილის 10 ნახ. საათზე ეფიმოვების ცირკში დაიწყო კავკასიის ფრონტის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო 1300-მდე დელეგატი, წარმომადგენლები სხვა და სხვა ორგანიზაციებისა, ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წევრნი აკ. ჩხენკელი, ვ. ხარლამოვი, ჯაფაროვი, პაპაჯანოვი, გენერალი იუდენიჩი და სხ. კრება გახსნეს ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ ვერეშჩაკმა და მუშათა დეპუტატების წევრმა ის. რამიშვილმა. შერეშჩოკმა მიულოცა კრებას ა.-კ. აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა,

შემდეგ ილაპარაკა ის. რამიშვილმა, იგი მიესალმა კრებას მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის სახელით და ვრცელი სიტყვით განმარტა არმიის მნიშვნელობა დღევანდელ რევოლუციაში: აღნიშნა, რომ არმია მტკიცედ ჩაბმულია რევოლუციაში და მის დამთავრებაშიაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მასა აქვს; ამასთანავე ორატორი მოუწოდებს კრებას, რომ ყრილობის მიზანს უნდა შეადგენდეს განმტკიცება იმ აზრისა და მიზნისა, რომ უახლოეს დროში მოხდეს საპატიო ზავი და რევოლუციის დაგვირგვინება, რისთვისაც აუცილებლად საჭიროა გაერთიანება მთელი არმიისა და მტკიცე ორგანიზაციების შექმნა. რამიშვილს შემდეგ მიესალმა პეტროგრადის სათათბიროში მომუშავე ს.-დემოკრატიული ფრაქციის და სახელმწიფო სათათბიროს სახელით აკ. ჩხენკელი. მან ილაპარაკა ფრაქციის შესახე დღიდან ომის დაწყებისა, აღნიშნა, რომ ფრაქცია ყოველთვის მოწინააღმდეგე იყო ხალხის განმანადგურებელ ომისა, მაგრამ მას არ აძლევდენ უფლებას არა თუ მონაწილეობა მიეღო ხალხის სვე-ბედის გადაწყვეტაში, არამედ წაართვეს ლაპარაკის უფლებაც კი. მთავრობამ ომი თითქოს ხალხის ინტერესების დასაცავად დაიწყო, ნამდვილად კი პირადი ინტერესები უფრო ამოქმედებდა. ომის დაწყებაში მთავრობა ხალხის სურვილებს არასდროს არ უწევდა ანგარიშს, და ხალხმა ხშირად არც იცოდა, რომ იგი ბურჟუაზიის გასაძლიერებლად იბრძოდა. ჩვენი ფრაქცია მოაცილეს სათათბიროს, მაგრამ მან თამამად აღიარა: ომი დაიწყო მთავრობამ, მაგრამ დემოკრატია დაამთავრებსო და დღეს ვხედავთ, რომ ეს სიტყვები მართლდება. შემდეგ შეეხო ფრონტსა და ზურგსა და აღნიშნა, რომ მათი ურთ-ერთი დამოკიდებულება თავდებია ომის სასურველათ დამთავრებისა; ძველი მთავრობია დროს ფრონტმა არ იცოდა, თუ რა ხდებოდა ზურგში და ზურგმაც არ იცოდა, რომ ფრონტზე უსურსათოდ და უმასალოდ მეტი ნადგურდებოდა. თქვენ გაწევთ დიდი მოვალეობა, თქვენ უნდა გააერთიანოთ ფრონტი და ზურგი და ამასთანავე უნდა აწარმოვოთ სამხედრო მოქმედება ფრონტზე და პოლიტიკური შინ. თქვენზე დიდ იმედებს ამყარებს რუსეთის დემოკრატია, მუშა ხალხი და გლეხობა, რომელზედაც დამყარებულია რუსეთის მომავალი ბედი; მოუთმენლად ელიან თქვენს გადაწყვეტილებას, და იმედოვნებენ, რომ თქვენი ხმა გამოძახილს ჰპოებს რუსეთის დემოკრატიაში. ამასთანავე ორატორმა აღნიშნა საჭიროება მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების ერთი აღმასრულებელი ორგანოს შექმნისა და მოუწოდა კრებას მტკიცე გაერთიანები სადმი საერთო მიზნისთვის.

შემდეგი იქნება.

## მსოფლიო ომი.

(პ. დ. ს.)

**დასავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 24 აპრილი. ოფიციალი. მდ. სუშის ჩრდილოეთით გერმანელებმა საკმაო ძლიერი ძალებით მესამეჯერ სცადეს კონტრ-იერიშები მოეტანათ ჩვენ მიერ ახლად დაკავებულ პოზიციებზე. მტერი გავანადგურეთ, რომელმაც ვერ მიაღწია ჩვენ თხრილებამდის. ბილეკურის მიდამოებში მტრის რაზმი საშინლად დავაზარალეთ.

მტრის ზარალი აპრილის განმავლობაში დახოცილ ჯარისკაცთა და ტყვეთ წამოყვანილებისა აღემატება 20.000 კაცს.

**პარიზი.** 25 აპრილი. ოფიციალი. სომსა და უაზოს შუა მდებარე მიდამოებში არტილერიის მოქმედება. გერმანელების მიერ მოულოდნელი თავდასხმა იტანხურის მიდამოებში მოვიგერიეთ. ვოილონის ჩრდილოეთით დავიკავეთ მტრის თავდასაცავი ცენტრი. წამოვიყვანეთ 90 ტყვე.

რეიმსის ჩრდილო-დასავლეთით მტერი სცდილობდა დაებრუნებია ჩვენ მიერ წართმეული თხრილები. ბრძოლის დროს წამოვიყვანეთ 120 ტყვე გერმანელი. პრინის ჩრდილო-დასავლეთით მტერი დავაზარალეთ.

მაღალი მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს ჩვენს წინააღმდეგ, ბრძოლის დროს მტერს დიდი ზარალი მოუვიდა დავრჩა ტყვე ჯარისკაცები. ავარკურის ტყის მახლობლათ

---

მახვილით შეპყრობად ჩემდაო!? და წინააღმდეგობა არ გაუწევია.—შეიპყრეს აგრეთვე სეხნია წულუკიძე, დავით მიქელაძე, ბეჟან წერეთელი, არქიმანდრიტი გრიგოლი და ბოლოს სოლომონ I-ის ასული, ქაიხოსრო აბაშიძის მეუღლე მოხუცი დარეჯანი თავისი მცირეწლოვანი შვილიშვილით.

ტყვეებს გაფისული ტილოები ჩამოაცვეს, რომ არავის ეცნო, მხოლოდ სულის მოსათქმელი ადგილი დაუტოვეს მცირე და ქოჩორას გზით რუსეთს გაისტუმრეს. შეპყრობილებმა გზაში ხმით იცვნეს ერთმანეთი. ნაცემი და გალახული ქუთათელი გზაშივე გადაიცვალა, ანანურამდი მიიტანეს და აქ დაკრძალეს. პუზირევსკი ოფიციალურ ქაღალდში წერდა, „საოფლემ იმსხვრეპლაო“

საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს რომ მიაწიეს, გენათელმა დაიჩოქა და და წარმოსთქვა: „ჩემო ხახულის ღვთის მშობელო, მოღალატე საძეოს ქვეყანაზენურას გაუშვებო“.*)

გენათელი ჯერ პეტრეს ქალაქში მიიყვანეს, შემდეგ სვირის მონასტერში (ოლონეცის გუბერნ.) დაამწყვდიეს და აქ გადაიცვალა 21 აპრ. 1822 წ.

დარეჯანი და მისი შვილი-შვილი პენზის გუბერნიაში გაგზავნეს და სიცოხლე გამწარებულს მოხუცებულს იქ დიდს სიღარიბეში ამოჰხდა სული.

იმ საბედისწერო ღამეს შეუპყრობელი დარჩათ ივანე აბაშიძე, სოლომონ I-ის შვილიშვილი, ძე ქაიხოსროსი. ივანე გურიას გაიქცა ქაიხოსრო გურიელთან და იქიდან ხელმძღვანელობდა აჯანყებას. გურიელი ამ მოძრაობას არ თანაუგრძნობდა, მაგრამ ბოლოს ბრალიც იმას მოახვიეს თავზე და კიდევაც აზღვევინეს.

პუზირევსკი მცირე რაზმით გურიისკენ გაეშურა. შემოქმედის ციხესთან რომ მივიდა, წინ შემოხვდა ერთი გურული იოთამ ბოლქვაძე. იგი ქაიხოსროს გამოეგზავნა,—ხალხს რუსების შემოსევა შეატყობიე და გააფრთხილეო. პუზირევსკიმ ბოლქვაძეს შესძახა: „სად არის ის ძაღლის შვილი ქაიხოსროო?“ ბოლქვაძემ პასუხათ ტყვია უთავაზა და განგმირული პოლკოვნიკი იქვე დაეცხო. პუზირევსკის მხლებელი ყაზახი მიეშველა, მაგრამ ბოლქვაძემ იგი ხმლით შუაზე გააპო.

პუზირევსკის ადგილი საჩქაროთ პოლკოვნიკმა ზგორელსკიმ დაიჭირა და ის დიდი რაზმით გურიას შეესია. გურულებმა ის სასტიკათ დაამარცხეს, ასე რომ მისი რაზმიდან მხოლოდ 3 კაცი გადარჩა მოამბეთ. გურულები ამას შემდეგ ოდიშს გადავიდენ; ტალღამ გადმოხეთქა და ქუთაისშიაც აჯანყებულები იკრიბებოდენ.

ერმოლოვი დარწმუნდა, რომ საქმემ საშიში ხასიათი მიიღო და იმერეთში თვით შტაბის უფროსი ველიამინოვი გამოგზავნა. მალე მოძრაობა მთელს დასავლეთ საქართველოს მოედვა, რაჭაშიაც მედგრათ ამოჰყო თავი და ველიამინოვს დიდი მაცადინობა და სამხედრო ზომების ხმარება დასჭირდა, სანამ ხალხს იარაღს დააყრევინებდა.

რაკი საქართველოს თავისუფლების ეს უკანასკნელი ბუდეც განადგურდა, რუსის ეგზარხოსებს ხელის შემშლელი აღარავინ დიურჩათ და მთავრობაც ტლანქად შეეხო ჩვენს ეროვნულს სიწმინდეს. სრულიად საქართველოს საეკლესიო მამულები 150 მილიონ მანეთად ღირებული სახაზინოთ შეირიცხა. თვითმპყრობელი ბიუროკრატიის მიერ მოვლენილი მოხელეები—გუბერნატორები თუ სხვა მსგავსნი მათნი, ჩვენი ეკლესიის სიმდიდრეს ურცხვათ იტაცებდენ; ფასუთქმელი ძვირფასი ქვები და სხვა სამკაულნი ძველთა-ძველის ხატებისა, შესამოსლებისა და სხვა დაიტაცეს, თავისიანებს დაურიგეს და უფრო კი მათი ავხორცობის უზნეო დამაკმაყოფილებელ ხასებს გულ-მკერდის სამკაულებათ უფეშქაშეს.

საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან აუარებელი უძვირფასესი ხელნაწერი, ძვირფასი ხელოვნური ყდებით შემკობილი, გაზიდეს, დაჰყიდეს და ფულათ აქციეს, ან კიდევ ვისიმე გულის მოსაგებათ ძღვნათ და ფეშქაშებათ დაარიგეს.

საქართველოს განმანათლებელის წმ. ნინოს საფლავი შებილწეს მუობლიური წირვა-ლოცვის ამოკვეთით და მცხეთის საპატრიარქო ტაძარში კედლების გალესვით ქართული ძველი ხელოვნების კვალი მოსპეს.

ასე იყო დღემდი. საქართველოს ტანჯულ სხეულს ყოველი მხრიდან უგმირეს, მაგრამ სრულიად კი ვერ შემუსრეს, რათა წერილი აღესრულოს: „ვითარმედ ძვალი მისი არა შეიმუსროსო“.

**დ. ო—ძე.**

---

*) ამბობენ, ზურაბ წერეთელს გულისხმობდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა გრძელდება ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით.

**ლონდონი.** 14 აპრილი. ოფიციალი. ჰინდენბურგის ხაზით, დღეს დილით გაძლიერებული ბრძოლა სწარმოებდა. მცირე ხნის განმავლობაში გავაუმჯობესეთ ჩვენი მდგომარეობა: სოფ. ბიულეკურისაკენ წინ წავიწიეთ. წამოვიყვანეთ ტყვე ჯარისკაცები. მტრის მიერ ღამით მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზზე.**

**პეტროგრადი.** 26 აპრილი. ოფიციალი. ხანკინის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარის მოწინავე რაზმებმა გაიარეს სოფ. დიალზე, მაგრამ ოსმალების მიერ მოტანილი კონტრიერიშებმა უკან დაგვახევინეს. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სროლა და მფრინავთა მოქმედებაა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 26 აპრილი. ოფიციალი. სვენციაკომის მიმართულებით, გოდუშიშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მიდამოებში მტერი ჩვენს პოზიციებს არტილერიის ინტესიური მოქმედობის შემწეობით ძლიერად უშენდა. ასპარეზის სხვა და სხვა ადგილებში მოწინაამდეგის რაზმები თეთრი ბაირაღებით სცდილობდა ჩვენს თხრილებს დაახლოვებოდა, მაგრამ არტილერიის შემწეობით გავფანტეთ. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ხდებოდა სროლა და მზვერავთა მოქმედება.

**რუმინეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 26 აპრილი. ოფიციალი. მდ. სიტრის ველით მტრის ქვეითა ჯარმა სროლა გააძლიერა, მაგრამ ჩვენ მიერ ჩაჩუმებული იქნა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სროლა და ზვერვა გრძელდება.

**რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობა.**

**პეტროგრადი.** 24 აპრილს. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით ორი მესამედი გერმანელების ჯარისა თავმოყრილია საფრანგეთის ასპარეზზე. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთელი შემადგენლობა გერმანელების ჯარისა 216 დივიზიაა მათდან 143 დასავლეთის ასპარეზზე უნდა იყოს, დანარჩენი კი, რუსეთისა, რუმინეთისა და მაკედონიის ასპარეზზე. თუ ასე გაგრძელდა საქმე რამდენიმე კვირით რუსეთის მდგომარეობა შემსუბუქებული იქნება.

**მფრინავთა მოქმედება.**

**ლონდონი** 25 აპრილი. ოფიციალი. გუშინ, ჩვენ ჩამოვაგდეთ მტრის 7 აეროპლანი. ჩვენ დაგვეღუპა 3 ჰაეროპლანი. სოფ. ბოროტნიკოსახლო; ბარანოვიჩის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 20 ვერსის მანძილზე დაეშვა გერმანელების თვით მფრინავი. აპარატს ცეცხლი გაუჩნდა. მფრინავები ტყვეთ წამოვიყვანეთ. ვიდაიკის მიდამოებში, ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით ჩვენმა თვითმფრინავმა რაზმებმა ჩამოაგდეს გერმანელების ორი თვითმფრინავი. აპარატს ცეცხლი გაუჩნდა. მფრინავები ტყვეთ წამოვიყვანეთ.

**მაკენზენი სტამბოლში**

**კიშინევი,** 25 აპრილი რუმინეთის გაზეთების ცნობით ოსმალთა ჯარის სარეორგანიზაციოდ და ინგლისელთა წინააღმდეგ მიმართულ ექსპედიციის სახელმძღვანელოდ, სტამბოლში მაკენზენი ჩასულა.

# ვ. გუნიას იუბილეს გამო.

**სადღესასწაულო ზეიმი.** საბოლოოდ გამოირკვა, რომ შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზე ვალერიან გუნიას 35 წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად გაიმართება დიდი სადღესასწაულო ეროვნული კრება სახელმწიფო თეატრში.

კრებას გახსნის დრამატიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე იოსებ ბარათაშვილი მომენტის შესაფერის სიტყვით და წინადადებას მისცემს კრებას საპატიო თავმჯდომარე აირჩიონ. კრებაზე მოწვეული იქნებიან სხვა და სხვა საპატიო პირები, როგორც ქართველ მოღვაწეთა, აგრეთვე სომხებთა, მუსულმანთა წრიდან! კრებაზე მოიწვევენ სხვათაშორის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებს, კავკასიის კომისარებს. იქნებიან საკათალიკოზოს წარმომადგენლებიც.

კრებაზე წარმოსთქმევენ სიტყვებს კიტა აბაშიძე, ი. გვაზავა, ი. მაჭავარიანი, სამსონ დადიანი, გიორგი ლასხიშვილი და სხვები. მერმე სიტყვები მიეცემათ სხვა და სხვა დაწესებულებათა ორგანიზაციათა დეპუტატებს და დელეგატებს. სიტყვებში აღნიშნული იქნება უმთავრესად ეროვნულ-კულტურული მუშაობა ამ უკანასკნელი სამი ათეული წლების განმავლობაში. კრებაზე იუბილიარს მიართმევენ საპატიო დიპლომს. სხვათა შორის ამ დღეს თავს იყრიან თფილისში პროვინციებიდან ქართული სცენის ყველა მუშაკნი პროფესიონალური კავშირის შესაკვრელად.

**სადღესასწაულო წარმოდგენა.** შაბათსვე, საღამოს 8 ნახევარ საათზე, სახელმწიფო თეატრში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა ჩვენი დასის საუკეთესო ძალების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის „ღალატიდან“ მეორე მოქმედობა და მხიარული კომედია იუბილიარისა „სიძე-სიმამრი“. დრამასა და კომედიას შუა ქართული სცენის მოღვაწენი იუბილიარს საჯაროდ მიულოცავენ 35 წლის ნაყოფიერ მოღვაწეობას. წარმოითქმება სიტყვები და წაკითხული იქნება ადრესები.

**ზეიმის მომწყობმა კომიტეტმა,** ქართ. დრამ. საზოგადოების გამგეობამ, საიუბილეო კომისიამ და ქართველ მსახიობთა კორპორაციამ დილის ზეიმის ხელმძღვანელობა დაავალა შალვა დადიანს და კონსტ. ანდრონიკაშვილს, ხოლო საღამო ვ. შალიკაშვილის.

**საზეიმო კომისია** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ბილეთები არავის არ ეგზავნება და ყოველივე საყვედურის ასაცილებლად ყველამ თვითონ და დროზე უნდა იზრუნოს ბილეთების შესაძენათ იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან.

**საიუბილეო ალმანახი.** ჩვენ მივიღეთ მიხ. გაჩეჩილაძის მიერ ვალ. გუნიას პატივსაცემად გამოცემული სოფ. მგალობლიშვილის რედაქტორობით შედგენილი საიუბელეო ალმანახი **„მადლობის დღე“**. ალმანახი მშვენიერ ქაღალდზეა დაბეჭდილი და დასურათებულია ვ. გუნიას მრავალის სურათებით და ნახატებში სხვა და სხვა როლებში სხვა და სხვა დროს. ალმანახი შეიცავს 24 გვერდს დიდის ტანისას და ეხლანდელი ფასების მიხედვით—იაფია, ღირს ერთი მანეთი. სხვათა შორის შემოსავალი ხარჯს გარედ მოხმარდება იუბილიარის ფონდს, სახლკარის შესაძენად.

# შევაგნებიოთ სოფელსაც.

დანამდვილებით დავრწმუნდით, რომ ჩვენებური ისრაილები, ჩვენი ღვიძლი ძმები, ქართველები არიან. იგინი ჩვენგან მარტო სჯულით განირჩევიან და მეტით არაფრით. ასეთი რწმენა, ჩვენი ძმების ისრაილების შესახებ, ჯერჯერობით მხოლოდ ქართველი ინტელიგენციაში არის ფეხმოკიდებული; ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობა, კი ჩვენდა საუბედუროდ, მხოლოდ ქალაქებსა და დაბებშია თავ მოყრილი. ინტელიგენციას მოკლებული ჩვენი სოფლის ხალხისათვის ჯერ ახალი გაგონებაა, რომ ისრაილები ჩვენი ღვიძლი ძმებია. როგორც ვიცით, ქართველი უმთავრესად ისრაილობა ალებ-მიცემობით სცხოვრობს, ამ ალებ-მიცემობას იგი უფრო სოფლად აწარმოებს. მიუხედავათ თავის ენა ტკბილიანობისა ქართველ ისრაელობას ალებ-მიცემობის წარმოების დროს სოფლად ბევრი წვალება და ტანჯვა ხვდება, ეს წვალება და ტანჯვა, განსაკუთრებით მითი მოსდის მას, რომ, როგორც ზევით არ მოვიხსენიე,-ჩვენი სოფლის ხალხმა, ქართველი ისრაელების ვინაობის შესახებ ჯერ დანამდვილებით არაფერი იცის. სოფლის მართლმადიდებელ ქართველობას ჰგონია. რომ იგინი გადამთიელნი ურიანი არიან, რომლებიც ჩვენში მოსულან მხოლოდ ვაჭრული ანგარიშით და ხალხის საყვლეფათ და თუმცა მათთან კიდევაც ალებ მიცემობას აწარმოებენ და ვაჭრულ კავშირს იჭერენ, მაგრამ დაახლოვებას მათთან მაინც ერიდებიან, მაგალითად სახლში ადვილად ღამეს არ ათევიებენ და ერთი ერთმანეთში სასმელ საჭმლის შეცვლას ერიდებიან და სხვა. სოფლელი მართლმადიდებელი ქართველი მუსულმან ქართველს უფრო ემეზობლობა, ვიდრე ქართველ ისრაელს. ამის მიზეზი პირდაპირ შეუგნებლობაა, რომელიც სარწმუნოების ნიადაგზე უფროა ამოცენებული, დიდათ საჭიროა ქართველ მართმადიდებელს შევაგნებიოთ, რომ ქართველი ისრაილები ჩვენი ძმებია და მათთან მჭიდრო კავშირის შეკვრა, როგორც სხვა დანარჩენ ქართველებთან, საერთო ჩვენი ეროვნული საქმისათვის, რომელსაც საქართველოს აყვავება ჰქვიან, დიდათ სასარგებლოა, ან ნიადაგზე დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ სოფლის მღვდლებს უკეთუ თავს შეიწუხებენ. — **მ. ბუაჩიძე.**

# მოწერილი ამბები

**ონი 19 აპრილი.** დღეს მთელს რაჭაში დიდი ფაცა-ფუცია ადგილობრივი კომიტეტების არჩევნების გამო. ყოველ საზოგადოებებში გამგზავრებულნი არიან პარტიების წარმომადგენლები არჩევნების მოსაწყობათ და ბევრგან კიდევაც მოახდინეს არჩევნები საგუბერნიო კომიტეტის უკანასკნელი ინსტრუქციის მიხედვით. ხალხი დიდის ინტერესით და დაკვირვებით ხვდება ყოველივე ამ ამბებს, მაგრამ არჩევნების დროზედ მოხდენას ბევრნაირი დაბრკოლება გადეღობა წინ, როგორც მაგალითათ ყუთების უქონლობა, რის დამზადებამ ბევრი დრო წაგვართვა, მერმეთ ცუდი გზები და ტაროსი, დიდი გასაჭირი და დაბრკოლება განიცადეს არჩევნების მომწყობმა პირებმა, მაგრამ დაუღალავმა და მხნე მუშაკებმა ყოველგვარ დაბრკოლებას სძლიეს და, საცაა სასოფლო არჩევნებს დაასრულებენ, რის შემდეგ შეუდგებიან სარაიონო და სამაზრო არჩევნების მოწყობას.

ბევრს ალაგას, მაგალითად ქვემო რაჭაში, უკვე არჩეული იყო სასოფლო კომიტეტები ორ-გზით. ერთი ჩვეულებრივ, როგორც წინეთ, ირჩევდნენ ხმის უმეტესობით მამასახლისებს უკენჭოთ; შემდეგ მეორეთ, დახურული კენჭის ყრით, მაგრამ პარტიების წარმომადგენლების თან დაუსწრებლათ და ხშირათ ნაკლები ხელმძღვანელობით, ასე რომ ეს მეორე არჩევნებიც უკანონოთ ითვლება, შემდეგ რაც საგუბერნიო კომიტეტმა ახალი ინსტრუქცია გამოსცა არჩევნების შესახებ. ახლა ამ ინსტრუქციის მიხედვით ხდება ახალი არჩევნები, ზოგან მესამე არჩევნები ხდება პარტიების წარმომადგენლების თანადასწრებით, რომელნიც აღჭურვილნი არიან შესაფერი ბანდატით. ვშიშობთ კი, ვაი თუ ხალხმა შეწუხებათ მიიღოს სამგზით ერთიასა და იმავე მიზნისთვის თავის მოყრა და ამისთანა დროს მუშაობაზე გაცდენა, და ამის მიზეზით ონის კომიტეტს ერთ ხანს გადაწყვეტილი ჰქონდა კანონიერათ ეცნო წინანდელი არჩევნები (ოცისთავების საშუალებით) და ახალი აღარ დაენიშნა, მაგრამ ბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ ყველგან ერთნაირი არჩევნები მოხდეს საგუბერნიო კომიტეტის უკანასკნელი ინსტრუქციის მიხედვით.

უბედურ კაცს ქვა აღმართში ეწევაო, ნათქვამია, და სწორეთ ეს ანდაზა ჩვენზე დაა გამოჭრილი. არასოდეს არ ყოფილა რაჭა უზრუნველ-ყოფილი კარგი და სამართლიანი მოხელეების მხრით; ხოლოთ ეს ცხრა წელიწადია, რაც რაჭველებს ეღირსა ღირსეული მოსამართლე ბ. იოსებ ტატიშვილი, ნამდვილი ქართველი კაცი, დაუღალავი მუშაკი, მოკლებული უაზრო და მავნე ფორმალიზმს, ყოველი და ყველასათვის ადვილათ ხელ მისაწდომი, მიუდგომელი და წრფელი მოსამართლე, მცოდნე და პატივის მცემელი ჩვენი ხალხის ადათისა და ზნე-ჩვეულებისა. ამ ცხრა წლის განმავლობაში ონის სასამართლოს კამერაში ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებდი რუსულათ; როცა ის საქმეს არჩევდა, მომჩივან-მოპასუხეს და მოწმეებს ყველას ქართულათ ართმევდა ჩვენებას, უთარჯიმნოთ, რის წყალობით თითოეული მისი გადაწყვეტილი საქმე იყო ჭეშმარიტათ სამართლიანი და დამაკმაყოფილებელი, ხშირათ, ორივე მხარეებისა. მტყუანსა და მართალსა მხარეს ის სცნობდა არა რუსული კანონების მიხედვით, არამედ თვით მათი ფსიხიკით და საკუთარი გამჭრიახობით და იმ შთაბეჭდილებით, როგორსაც მაზედ ახდენდა თვით საქმის ვითარება და გარემოება. ამ ნაირმა ბ. ტატიშვილის ადამიანურმა და არა ჩინოვნიკურმა თვისებამ ის მეტათ დაუახლოვა ხალხს და ყოველი კაცისთვის [illegible] ვეღარ შესძლო მოხუცმა მუშაკმა ორი საპასუხისმგებლო უღლის ზიდვა და გადასწყვიტა სამსახურს თავი დაანებოს, მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს დაღლილობა იგრძნო და სისუსტე დაეტყო ჯერ 1916 წელშივე იგრძნო ეს ავათმყოფობა და შვიდი თვით დაეთხოვა სამსახურს, მობრუნდა ენკენისთვის დამლევს, წინანდებურად ორივე თანამდებობის ასრულებას შეუდგა, სურდა კიდევაც დარჩენა სამსახურში, მაგრამ რადგანაც თანაშემწე არ გამოუგზავნეს, ვეღარ შესძლო დიდი შრომა და გადასწყვიტა დაანებოს თავი სამსახურს. მისი ნამდვილი ადამიანობა და სასამართლო მოღვაწეობა მოსამართლის ასპარეზზე დიდ ხანს დარჩება რაჭველების ხსოვნაში.

**ონელი.**

# ნარევი.

**მარკოვ მეორის გაქცევა.**

„კურსკის მხარე“ გადმოგვცემს მარკოვის ოჯახთან დაახლოვებულ პირის ცნობას: „პეტროგრადში ჯარის აჯანყებისა და მთავრობის დაწესებულებათა მათ ხელში გადასვლის დღეს მარკოვ მეორე სულ არ გამოსულა შინიდან და ძალიან აღელვებულიც იყო. მარკოვს შეუწყვეტლივ ატყობინებდენ ტელეფონით პეტროგრადის ამბებს. ნაშუადღევის 3 საათზე მარკოვს ტელეფონითვე შეატყობიეს, ბრბო შენი ბინისაკენ მიემართებაო. მარკოვმა დაიწყო თმების გლეჯა და ჰყვიროდა—დავიღუპეო. მერე მუხლებზე დაეცა შინაურების წინაშე და პატიებასა სთხოვდა ჩემი მოღვაწეობით ყველა დაგღუპეთო. შემდეგ პალტოს ერთ სახელო გაყრილი მარკოვი გაიქცა შინიდან. მას მეეზოვე დაედევნა. მარკოვმა შესახვევში შეუარა და ისეთ ქუჩებით მიდიოდა, სადაც ნაკლები ხალხი იყო. მერე გაჩერდა ერთ სახლთან უცებ მოუბრუნდა მეეზოვეს და უთხრა: აი, აქ ვიხილავ სიკვდილს, ამას შემდეგ ვეღარ მნახავო. ამის შემდეგ მარკოვი არც ერთ მოსამსახურეს არ უნახავს. ამ დღეებში გაზეთის კანტორაში მარკოვის ეკონომმა 9000 მანეთი მოიტანა „კურსკის ცხოვრები-ს“ ხელის მომწერთათვის დასარიგებლად. სად არის ეხლა მარკოვი, ერთმა მისმა ახლობელმაც არ იცის; შესაძლებელია იცოდენ მხოლოდ ცოლმა და შვილებმა.

**სოფლის სიბნელე.**

დიდი აღფრთოვანება ზედ მეტია თუმცა მეფის გადაყენებამ სოფელში ზოგან სიამოვნება გამოიწვია. ზოგან დიდი სიხარულიც, მაგრამ ახლაც ბევრ სოფელში თავისუფლებაზე ქვის საუკუნისებური წარმოდგენა აქვსთ. აი რასა სწერს გაზეთი „კამა.“

მომხდარ ამბებში ცუდათ ერკვევიან. დიდ ლაპარაკს იწვევს მცნება „თავისუფლება.“ ვოტიაკთა მეტი წილი იმ აზრისაა, რომ „კუმიშკი“-ს ხარშვის თავისუფლება მოგვივიდაო. ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ლექტორების რწმუნებას, რომ „კუმიშკი“-ს ხარშვას უფრო სასტიკად დასჯიანო მეფის გადადგომას კუმიშკის ხარშვას უკავშირებენ. ის კუმიშკის ხარშვას გვიშლიდა და გადაყენების ღირსიც იყოვო. ახლა კი თავისუფლად შეგვიძლიათ ვხარშოთ და მხიარულადაც ვსვათო“ და სვამენ მაინც.

პურგინში ძველი „ურიადნიკი“ გადააყენეს და მის ადგილას წინედ ლოთობისათვის გადაყენებული „სტრაჟნიკი“ დანიშნეს დანიშნით გახარებული „სტრაჟნიკი“ დათვრა და მთელი სოფელიც მიჰყვა მას: თავისუფლება არისო.

# სია.

სათადარიგო მეომართა სოფლებში მცხოვრებ იმ ოჯახებისა, რომელთაც 3 წლის განმავლობაში დახმარებას უწევდა საგუბერნიო საიზნაურო კომიტეტთან არსებული ქალთა წრე, ვისაც სიის სინამდვილე სურს შეამოწმოს, შეუძლია ხელმოწერილი საბუთები იხილოს დეპუტატთა საკრებულოში მღვდელ [illegible] პავლეს ძე მაჭავარიანთან.

დახმარება მიეცათ შემდეგ ოჯახებს: გრ. მიქელაძეს 25 მან. [illegible] 20, ელისაბედ [illegible] 20, ნ. [illegible] 20, ეკატ. ბოჭორაძე 20, ლ. აბალიანი 20, ალ. [illegible] 20, ლ. ალხასაშვილი 20, ვ. [illegible] 10, [illegible] ჯოკვარია 10, მ. ამაშუყელი 20, ლ. ფურცხვანიძე 15, ს. რობაქიძე 15, ელ. ფურცხვანიძე 15, ალხასაშვილი 20, ვიკ. ქავთარაძე 20, ბარ. ლომიძე 10, გ. კოკელაძე 25, ლ. ქავთარაძე 20, ერემაიშვილი იოს. 10 ნესტორი (გვარი არ სწერია) 10, მაღალაკელიძე დარისპანი 10, მაღლაკელიძე ალ. 10, შენგელია ალ. 10, შალამბერიძე ა. 10 მ. ერემბიშვილი პლატ. 10, ხუციშვილი 10, ბურკაძე დ. 10, ნ. თევდორაძე 10., კანკაია 10, სოსელია თად. 10, პაპიაშვილი ილ. 10, აბრამიძე ონ. 10, ვაშაკიძე 10, სოსელია 10, ჩერნაია გ. 10, ფოფხაძე პლ. პ. 10, შენგელია ვას. 10, კორბაძე დ. 10, სოსელია აკაკი 10, ხუნდიაშვილი ლევ. 10, ქიმუშაძე დავით 10, ნიკოლაძე ვას. 10, ივანიძე იოს. 10, გალ. შარაშენიძე 10 მან.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ გამომცემელი **დ. ბ. კვირკელია.**


# ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**
**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**
ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, ბ. კოსტავას სახლი № 17.


# რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 „ |
| „ | — დილის — | 7 ს. „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 „ |


ვისაც სურს სამუდამოთ განთავისუფლდეს ქარებისაგან (რევმატიზმისაგან) და ყოველგვარ კანის ავათმყოფობისაგან ურჩევთ მიაშუროს ძმ. წულუკიძეების **ბოგირდის აბანოს**

ს. ბუგეულსრაჭის მაზრაშიდ, რომლის მუშაობა

# განახლდა

პირველ აპრილიდან. აბანოსთან არის სუფთა ოთახები ავათმყოფებისათვის და სუფთა თეთრი ქვის ვანები; იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

აბანოს გამგე **ივანე სოხაძე.**


სტამბა „ძმობა“ ქუთაისში, პუშკინის ქუჩა